

საზოგადოება და გარემო

მიკრობები, მათ შორის ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული მიკრობები, მრავლდებიან და ვრცელდებიან საზოგადოებაში და ზოგჯერ აავადებენ ადამიანებს. ადამიანის საქმიანობას შეუძლია გარემოში (ნიადაგი, წყალი) ანტიბიოტიკების და ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული მიკროორგანიზმების გავრცელება, თუმცა, როგორ მოქმედებს ეს ყოველივე ადამიანებისა და ცხოველების ჯანმრთელობაზე, ჯერ კიდევ გაურკვეველია.



- ✓ მიკრობები ადამიანიდან ადამიანზე გადადის, თუნდაც ისეთი აქტივობებით, როგორიცაა: ხელის ჩამორთმევა, ვარჯიში, სქესობრივი კავშირი ან სკოლაში სიარული.
- ✓ რეზისტენტული მიკრობები შეიძლება გავრცელდეს ადამიანებსა და ცხოველებს შორის, როგორც შინაურ, ისე ზოოპარკებში მცხოვრებთა შორის.
- ✓ ანტიბიოტიკები სიცოცხლეს გადაარჩენს, თუმცა, ზოგჯერ ანტიბიოტიკების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს გვერდითი მოვლენები და ხელი შეუწყოს მათ მიმართ რეზისტენტობის განვითარებას.



- ✓ ადამიანებს შეიძლება დაინფიცირდნენ სხვა ადამიანებისგან და ცხოველებისგან საერთაშორისო მოგზაურობის დროს, დაბინძურებული საკვებით ან წყლით, ან სამედიცინო მომსახურების მიღებისას. ადამიანებს შეუძლიათ ამ მიკრობების გავრცელება სახლში დაბრუნების შემდეგ.



- ✓ ანტიბიოტიკები და ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული მიკრობები შეიძლება გავრცელდეს ველურ ბუნებასა და გარემოში, მათ შორის წყლის ობიექტებში და გამოიწვიოს დაავადებები ადამიანებში.
- ✓ ანტიბიოტიკების პესტიციდებად გამოყენების შემდეგ, საავადმყოფოებში ადამიანებისა და ფერმებში ცხოველების გამონაყოფები (განავალი) და ანტიბიოტიკების წარმოება (როგორც წესი, შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ), შეიძლება იყოს ანტიბიოტიკების და ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული მიკროორგანიზმების გარემოში მოხვედრის მიზეზი. ეს ხელს უწყობს რეზისტენტობის გავრცელებას მთელ მსოფლიოში.
- ✓ ანტიბიოტიკები სიცოცხლეს გადაარჩენს, თუმცა, ზოგჯერ ანტიბიოტიკების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს გვერდითი მოვლენები და ხელი შეუწყოს მათ მიმართ რეზისტენტობის განვითარებას.

